ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3724113001**
თარიღი:**22/04/2024**

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და აღნიშნავს:

1. პროექტები მოიცავს სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებს, სოფელ გურიანთისა და სოფელ ციხისფერდის ტერიტორიაზე. (2 პროექტი, ჯამური ღირებულებით 465 271,33 ლარი).

აღნიშნული პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის. 2 სოფელში განახლდება და მოწესრიგდება სასმელი წყლის სისტემა, რითაც ისარგებლებ 200-ზე მეტი ოჯახი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისია მხარს უჭერს აღნიშნული პროექტების მოწონების საკითხს საკრებულოს სხდომაზე.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი